ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს **საჯარო სკოლის** ფიზიკის მასწავლებლების კონკურსს შვეიცარიის ქ. ჟენევაში მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire) ერთკვირიან სტაჟირებაზე გასაგზავნად.

კონკურსის შედეგად შეირჩევა ფიზიკის 3 პედაგოგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საჯარო სკოლებიდან. მათი სტაჟირების სრული დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიერ.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილე:

1. უნდა იყოს მოქმედი **უფროსი** მასწავლებელი ან **პრაქტიკოსი** მასწავლებელი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ფიზიკის მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდა;
2. კანდიდატი უნდა ასწავლიდეს **საჯარო სკოლაში;**
3. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში პედაგოგი **არ უნდა იყოს ნამყოფი** ზემოხსენებულ კვლევით ცენტრში.

წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. CV ქართულ ენაზე
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. ჩატარებული გაკვეთილის გეგმა აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე (word-ის დოკუმენტი, არაუმეტეს სამი გვერდი, A4 ფორმატი , Sylfaen 11 შრიფტით, ხაზებს შორის დაშორება 1,5)
4. ჩატარებული გაკვეთილი Power Point პრეზენტაციის სახით (8-10 სლაიდი/ თხრობის ხანგრძლივობა 10 წუთი)
5. უფროსი მასწავლებელის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი /ან ფიზიკის მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. ფიზიკის მასწავლებლობის დამადასტურებელი ცნობა სამუშაო ადგილიდან

გთხოვთ, ზემოჩამოთვლილი დოკუმენტაცია წარადგინოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ajaraedufund@gmail.com

დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 19 მარტი (24.00 სთ).

შენიშვნა: 1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!

2. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!

კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:

I ეტაპი: დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება/გადარჩევა

II ეტაპი: კომისიასთან გასაუბრება, გაკვეთილის წარდგენა/პრეზენტაცია და მისი განხილვა

ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:
ლალი ლომთათიძე (დირექტორის მოადგილე),
საკონტაქტო ტელეფონი: 599 94 04 66
ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი
მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #121
ტელ.: 24 84 80